ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

7-13 აგვისტო, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

იულიან გერგუტის გათავისუფლების შესახებ

რუმინეთის პრეზიდენტი, კლაუს იოჰანისი ავრცელებს ინფორმაციას, 2015 წლის 4 აპრილს, ბურკინა-ფასოს ტერიტორიიდან ტერორისტულ ორგანიზაცია ალ კაიდასთან დაკავშირებული მცირე ჯგუფის მიერ გატაცებული, რუმინეთის 40 წლის მოქალაქის, იულიან გერგუტის, გათავისუფლების შესახებ. პრეზიდენტის ცნობით, გერგუტი უკვე რუმინეთის ტერიტორიაზეა და თავს უსაფრთხოდ გრძნობს.

10.08.2023

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) მარტოხელა თავდამსხმელთა მონაცემთა ბაზის შესახებ

თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაციის და პოლიციის მიერ გასულ კვირას გაკეთებული საერთო განცხადების თანახმად, 8 აგვისტოს ოფიციალურმა ანკარამ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) მარტოხელა თავდამსხმელთა შესახებ მონაცემთა ბაზაზე წვდომა მოიპოვა. აღნიშნული ქსელი 10000-მდე პირის პერსონალურ მონაცემს შეიცავს. აღნიშნული პირები ამ დროისთვის ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის, ნიდერლანდების სამეფოს, შვედეთის, ნორვეგიის, დანიის, შვეიცარიის, ავსტრიის და ესპანეთის ტერიტორიებზე ე.წ. „მთვლემარე სამხედრო ბლოკებში“ წევრიანდებიან.

08.08.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია სულეიმანიის პროვინციაში

ერაყის ქურთისტანის კონტრტერორისტული სამსახური ავრცელებს ინფორმაციას 9 აგვისტოს, სულეიმანიის პროვინციაში, ორ ლოკაციაზე თურქული სპეცსამსახურების მიერ, უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით მიტანილი წერტილოვანი საჰაერო დარტყმების შედეგად გარდაცვლილი ქურთების მუშათა პარტიის ორი წევრის შესახებ. კონტრტერორისტული სამსახურის თანახმად,

გარდაცვლილთაგან ერთ-ერთი ერაყის ქურთისტანის სადაზვერვო სამსახურის მაღალი რანგის წარმომადგენელია.

09.08.2023

ტერორისტული თავდასხმა დერ ეზორში

სირიის ადამიანის უფლებების ობსერვატორია ადასტურებს ინფორმაციას დერ ეზორში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ („დაეში“) მებრძოლების მიერ, სამხედრო ავტობუსზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად 23 ჯარისკაცის გარდაცვალების შესახებ. ობსერვატორიის განმარტებით, პოზიციების შესუსტებასთან ერთად, „დაეშის“ თავდასხმები პროვინციაში უფრო ინტენსიური გახდა.

11.08.2023

ტერორისტული თავდასხმა აბიანის მუხაფაზაში

ტერორისტულ ორგანიზაცია ალ კაიდასთან დაკავშირებული იემენური დაჯგუფებების მიერ, აბიანის მუხაფაზაში სამხრეთის გარდამავალი საბჭოს სამხედრო კოლონაზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად, სამხედრო მეთაური, აბდ ალ-ლატიფ ალ-საიდი დაიღუპა. ინფორმაციას მომხდარის შესახებ გამოცემა Al-Jazeera ავრცელებს.

10.08.2023

ტერორისტული თავდასხმა მოგადიშოში

სომალის ახალი ამბების ეროვნულ სააგენტოსთან საუბრის დროს, ქვემო შაბელის რეგიონის გამგებელმა, მუჰამედ იბრაჰიმმა, დაადასტურა მარკასა და კორილეის დამაკავშირებელ გზაზე, 9 აგვისტოს სამგზავრო ავტობუსზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად სულ მცირე 6 ადამიანის გარდაცვალება. სააგენტოს თანახმად, ავტობუსის აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა 12 ადამიანი.

09.08.2023